საქსტატი

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა

# 2020



01.07.2021

www.geostat.ge

## წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა
## (2020 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წელს საქართველოში წყალმომარაგებით საქმიანობას ახორციელებდა 25 საწარმო, რომელთა მიერ შინამეურნეობებისთვის მიწოდებული წყლის მოცულობამ 229.2 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, რაც 2.6 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული იყო 2.57 მილიონი ადამიანი (68.9 %), რაც 2.1 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის წილი 2015-2020 წლებში (დიაგრამა №1).

დიაგრამა №1

**წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობა (%)**



2020 წელს წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 1.8 პროცენტით გაიზარდა და 1.87 მილიონი (50.1 %) შეადგინა, ხოლო ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 0.4 პროცენტით და 1.36 მილიონი (მთლიანი მოსახლეობის 36.5 %) შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №2) და ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №3) 2015-2020 წლებში.

დიაგრამა №2

**წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობა**

(%)



დიაგრამა №3

## ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობა

(%)




**საკონტაქტო პირები:**

გიორგი სანაძე, ტელ.: (+995 32) 2367210 (500)
E-mail: gsanadze@geostat.ge; info@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 2367210 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge